

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შანი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება	6

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	8
4. ძირითადი საშუალებები	13
5. გრძელვადიანი მოთხოვნები	13
6. ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	13
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	14
9. დარიცხული მოთხოვნები	14
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14
11. ამონაგები	14
12. თვითღირებულება	14
13. სხვა შემოსავლები	15
14. მიწოდების დანახარჯები	15
15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	15
17. მოგების გადასახადი	15
18. საბალანსო ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	16
19. სააგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	16
20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	16

ფინანსური მდგომარეობის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022	1.01.2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	484 510	531 952	134 159
გრძელვადიანი მოთხოვნები		182 000	22 000	12 000
		666 510	553 952	146 159
მოკლევადიანი აქტივები				
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტები	5	850 534	821 859	782 360
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	796 178	844 728	1 436 505
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	7	122 979	65 999	19 186
დარიცხული მოთხოვნები	8	241 737	218 383	218 383
		2 011 428	1 950 969	2 456 434
		2 677 938	2 504 921	2 602 593
მთლიანი აქტივები				
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		50 000	50 000	50 000
გაუნაწილებელი მოგება		859 806	1 091 179	1 627 965
		909 806	1 141 179	1 677 965
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	967 130	883 183	847 586
საგადასახადო ვალდებულებები		107 387	88 337	77 042
		1 074 517	971 520	924 628
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სასესხო ვალდებულებები		693 615	392 222	-
მთლიანი ვალდებულებები		1 768 132	1 363 742	924 628
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		2 677 938	2 504 921	2 602 593

გიორგი მანიძე
დირექტორი

გიორგი თევზაძე
ბუღალტერი

სრული შემოსავლის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
ამონაგები	10	40 868 268	42 487 324
თვითღირებულება	11	(35 666 957)	(37 427 515)
საერთო მოგება		5 201 311	5 059 809
სხვა შემოსავლები	12	-	26 823
მიწოდების დანახარჯები	13	(2 276 418)	(2 151 303)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	14	(1 513 784)	(854 601)
საოპერაციო მოგება		1 411 109	2 080 728
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი) - წმინდა	15	(27 449)	(28 212)
საპროცენტო ხარჯი		(31 310)	(8 350)
მოგება დაბეგვრამდე		1 352 350	2 044 166
მოგების გადასახადი	16	(243 060)	(377 838)
წმინდა მოგება		1 109 290	1 666 328

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 01 იანვარი	50 000	1 627 965	1 677 965
წმინდა მოგება	-	1 666 328	1 666 328
გამოცხადებული დივიდენდი	-	(2 153 973)	(2 153 973)
სხვა ცვლილება	-	(49 141)	(49 141)
2022 წლის 31 დეკემბერი	50 000	1 091 179	1 141 179
წმინდა მოგება	-	1 109 290	1 109 290
გამოცხადებული დივიდენდი	-	(1 340 663)	(1 340 663)
სხვა ცვლილება	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	50 000	859 806	909 806

ფულადი ნაკადების სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

31.12.2023 31.12.2022

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები	48 391 556	49 813 829
გაცემული სესხებიდან მიღებული პროცენტი	-	-
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(44 773 409)	(45 956 561)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(954 576)	(461 514)
გადახდილი გადასახადები	(1 075 561)	(1 229 349)
გადახდილი პროცენტები	(82 102)	(36 562)
გადახდილი დივიდენდები	(1 273 630)	(2 046 274)
გადახდილი სხვადასხვა ხარჯები	(39 815)	(18 980)

წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან 192 461 64 589

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალებების შეძენა	(286 525)	(443 303)
აღებული სესხები	558 090	490 148
გაცემული სესხები	(160 000)	-
აღებული სესხებიდან გადახდილი ძირი	(275 351)	(71 935)

წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან (163 786) (25 090)

ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტებისა ზრდა	28 675	39 499
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	821 859	782 360
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი	850 534	821 859

1. ზოგადი ინფორმაცია

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მკს „მანი“-სათვის შენიშვნა 2-ში მითითებული მომზადების საფუძვლის შესაბამისად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მკს „მანი“ (შემდგომში „საწარმო“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია ქ. ქუთაისში რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 21/11/2011 წელს, ს/კ - 412680969.

საწარმოს 100% წლის მფლობელი პარტნიორია გიორგი მანიძე.

ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც ამავდროულად არის საწარმოს მფლობელი პარტნიორი.

საწარმოს იურიდიული მისამართია, საქართველო, ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ., N5 ბ 16. საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ აჭარის რეგიონში და მის ძირითად საქმიანობას წამოადგენს ცემენტით ვაჭრობა.

2. მომზადების საფუძველი

საწარმოს სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) 35-ე მუხლის „მსს ფასს-ზე გადასვლა“- მოთხოვნების შესრულებით. საწარმომ მოამზადა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის დასაწყისისათვის და დასასრულისათვის, 2022 წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები. მსს სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება შეიცავს შესადარის ინფორმაციას გადასვლის თარიღამდე პერიოდისათვის. შესაბამისად, წარმოდგენილი ანგარიშგება წარმოადგენს საწარმოს ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის თანახმად.

მცირე და საშუალო საწარმოებისათვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშის შედგენის საერთაშორისო სტანდარტის პირველად გამოყენება.

მცირე და საშუალო საწარმოებისათვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშის შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე, საწარმოს რაიმე სახის ფინანსური ანგარიშგება არ მოუზადებია. მცირე და საშუალო საწარმოებისათვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლამდე, საწარმოს აღრიცხვა გარკვეულწილად საგადასახადო რეგულირებას ეფუძნებოდა. ამრიგად, თუ რა გავლენა იქონია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლამ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ საქმიანობის შედეგებზე და ფულად ნაკადებზე არის წარმოდგენილი აღნიშნულ ფინანსურ ინფორმაციაში.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია საწარმოსათვის.

საწარმო ფინანსურ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის გარდა, ამზადებს დარიცხვის მეთოდით. დარიცხვის მეთოდის თანახმად, სადარიცხოვო ერთეული აქტივად, ვალდებულებად, საკუთარ კაპიტალად, შემოსავლად ან ხარჯად აღიარდება იმ მომენტში, როდესაც იგი დააკმაყოფილებს შესაბამის განმარტებასა და აღიარების კრიტერიუმებს.

საწარმოს მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად საწარმო იყენებს ეროვნულ ვალუტას ლარს.

ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასხულია ერთ ლარამდე სიზუსტით.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მის ფასს ზე გადასვლის თარიღიდან. აღნიშნული ფინანსური ინფორმაცია მომზადდა მექანიკური ფაქტური ღირებულების საფუძველზე.

3.1 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

საწარმო ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს.

საწარმოს ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებია:

- ფულადი სახსრები - ფინანსური აქტივი;
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება - ფინანსური აქტივი;
- გაცემული სესხები - ფინანსური აქტივი;
- სავაჭრო კრედიტორული დავალიანება - ფინანსური ვალდებულება;
- მიღებული სესხები - ფინანსური ვალდებულება;

3.1.1 თავდაპირველი აღიარება და შეფასება

როდესაც საწარმო გახდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე, იმ მომენტიდან წარმოებს ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების პირველად აღიარებისას, საწარმო მათ შეფასებას ახდენს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის, ან მისი სახელშეკრულებო კონტრაქტისთვის. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალდებულო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

3.1.2 ამორტიზებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

საწარმო ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის შემდგომი აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

- (ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;
- (ბ) გამოკლებული ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;
- (გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და
- (დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

3.1.3 თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურების აღიარება და შეფასება

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ცალ-ცალკე აფასებს გაუფასურებას შემდეგი ფინანსური აქტივებისთვის:

- (ა) ყველა წილობრივი ინსტრუმენტი, მათი მნიშვნელობის მიუხედავად; და
- (ბ) სხვა ფინანსური აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანია.

გაუფასურების ზარალის აღგენა

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდება და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელი იქნება გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმომოხილ მოვლენასთან (როგორცაა, მაგალითად დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), საწარმომ უნდა აღადგინოს (უკუგაბრუნებინოს) წინა პერიოდებში წარმომოხილ გაუფასურების ზარალი პირდაპირ, ან გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით.

3.1.4 ფინანსური აქტივის და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე.

საწარმო ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას წყვეტს, როდესაც ის შესრულებდა, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.2 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და საბანკო ანგარიშზე არსებული ფულად სახსრებს. ფული და ფულადი ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.3 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება გაყიდვიდან მისაღების თანხით. ჩვეულებრივ სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. როდესაც რეალიზაციის ოპერაცია ცილდება ნორმალურ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების

ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება საექსპოზიტო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

3.4 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ეროვნულ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცემი კურსის გამოყენებით. კურსთამორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში.

3.5 ბანკის სესხები და გარანტიები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების გამოკლებით, შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

3.6 სასაქონლო- მატერიალური ფასეულობები

საწარმო მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს საქონლის გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასთან დაკავშირებულ ყველაწარმოებულ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებულია საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

3.7 წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები ხორციელდება ფაქტობრივი ღირებულებით, ზარალის ანაზღაურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა აისახება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც საწარმომ მიიღოკონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა საწარმოს. სხვა წინასწარი გადახდები გამოიქვეთება მოგება-ზარალიდან, როდესაც ხდებაწინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს ინფორმაცია, რომ წინასწარ გადახდილი აქტივების, საქონლის ან მომსახურების მიღება არ მოხდება, შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი პერიოდები:

- მატყანა დახადგარები - 10 წ
- ოფისის აღჭურვილობა - 5 წ
- სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წ

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვლილების განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვლილების გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

3.9 საწესდებო კაპიტალი

საწარმოს დადგენილი საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება საწარმოს პარტნიორების მიერ და მასში ცვლილებები განხორციელდება მხოლოდ საწარმოს პარტნიორების გადაწყვეტილებით.

3.10 ამონაგები

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი (პროდუქცია) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საგადასახადო კანონმდებლობით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

3.11 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წელს დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას და საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტებს.

3.12 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალში.

ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის სხვაობა.

უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლების კონვერტაცია ხდება ოპერაციის განხორციელების დღისათვის დადგენილი გაცვლითი კურსით, კონვერტაციით გამოწვეული საკურსო სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.13 დივიდენდები

საწარმოს შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და პარტნიორთა გადაწყვეტილებებს.

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებების სახით იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც ის გამოცხადდა. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების შეხამებაში.

3.14 იჯარა

ოპერაციული იჯარა როდესაც საწარმო წარმოადგენს მოიჯარეს იჯარაში, რომელიც არ ახდენს საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკის და სარგებელის გადაცემას საწარმოსათვის მოიჯარის მხრიდან, მთლიანი იჯარის გადასახადი მიეკუთვნება წლიურ მოგებას ან ზარალს წრფივი მეთოდით იჯარის პერიოდის განმავლობაში იჯარის პერიოდი წარმოადგენს არაგაუქმებად პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მოიჯარე ხელშეკრულებით ქირაობს აქტივს შემდგომი ვადით, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს არჩევანი გააგრძელოს აქტივის იჯარით ფლობა შემდგომი გადახდით ან გადახდის გარეშე, როდესაც იჯარის დაწყებისას ფაქტია, რომ მოიჯარე გამოიყენებს არჩევანს.

3.15 შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

საწარმო აკეთებს შეფასებებს და მოსაზრებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ფულადი ვალდებულებების მიმდინარე საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და გადაწყვეტილებები მუდმივად შეფასებულია და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც გონივრულია გარემოებების გათვალისწინებით. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე მიღებული გადაწყვეტილებები და შეფასებები, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ აქტივების და ფულადი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავენ:

მატერიალური აქტივების და არამატერიალური აქტივების ექსპლუატაციის პერიოდი.

მატერიალური აქტივების ექსპლუატაციის პერიოდის შეფასება წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილების მიღების საკითხს, რომელიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის ექსპლუატაციის პერიოდის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, შეფასებულ ტექნიკურ, ფიზიკურ ცვეთას და გარემოებას, რომელშიც აქტივი მუშაობს. ცვლილებებმა ნებისმიერ ასეთ პირობებში ან შეფასებებში შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ამორტიზაციის ნორმების კორექტირება.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების გაუფასურება.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება ეფუძნება საწარმოს მიერ კონკრეტული კლიენტის ანგარიშების ინდივიდუალურ შეფასებას. თუ საწარმო განსაზღვრავს, რომ არსებობს ობიექტური მტკიცებულება დებიტორული დავალიანების საკრედიტო რისკის მახასიათებლებით არსებული დებიტორის გაუფასურებისა, ის ასახავს გაუფასურების ზარალს.

3.16 ურთიერთ დაკავშირებული მხარეები

ბალანსი და ტრანზაქციები ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთიერთდაკავშირებულნი არიან, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ანგაზავრირების ეროვნული კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეული დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის მიხედვით და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების 2023 წლის საბალანსო ღირებულების ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

თავდაპირველი ღირებულება	შენიშნა- ნაგებობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილ ობა	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერ იალური აქტივი	იჯარით აღებული ქონება	სულ
01 იანვარი 2023	-	12 831	13 122	546 869	3 235	912	576 969
შემოსვლა	6 419	9 586	1 942	274 997	-	1 833	294 777
გასვლა	-	-	(4 890)	(294 424)	-	-	(299 314)
31 დეკემბერი 2023	6 419	22 417	10 174	527 442	3 235	2 745	572 433
ცვეთა და გაუფასურება	-	(786)	(9 623)	(34 607)	-	-	(45 016)
01 იანვარი 2023	-	(786)	(9 623)	(34 607)	-	-	(45 016)
პერიოდის ცვეთა	(122)	(961)	(620)	(54 217)	-	(137)	(56 057)
გასვლა	-	-	4 109	9 042	-	-	13 151
31 დეკემბერი 2023	(122)	(1 747)	(6 134)	(79 782)	-	(137)	(87 922)
წმინდა საბალანსო ღირებულება	-	12 045	3 499	512 262	3 235	912	531 953
01 იანვარი 2023	-	12 045	3 499	512 262	3 235	912	531 953
31 დეკემბერი 2023	6 297	20 670	4 040	447 660	3 235	2 608	484 510

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით. აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

5. ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

საწარმოს საღარიბოს და საბანკო ანგარიშების ნაშთები შემდეგია:

	2023	2022	2021
ნაღდი ფული საღარიბოში	9 675	-	3 200
ფული საბანკო ანგარიშებზე	840 859	821 859	779 160
სულ	850 534	821 859	782 360

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021, 2022 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები	865 388	587 747	722 881
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი (შენიშვნა 17)	290	141 478	598 121
საეჭო მოთხოვნების კორექტირება	(81 525)	(81 525)	(81 525)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	784 153	647 700	1 239 477
სხვა მოთხოვნები	12 025	197 028	197 028
სულ	796 178	844 728	1 436 505

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავს დაკავშირებული მხარისადმი მოთხოვნას, რომელიც ძირითადი საშუალებების რეალიზაციის შედეგად არის წარმოქმნილი.

საწარმო საექვო ვალების დარეზერვებას ანხორციელებს მოთხოვნების ინდივიდუალური შეფასების მეთოდით.

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საწარმოს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სახით გააჩნია საწვავი , რომლის ნაშთია 495 ლარი და პროდუქცია რომლის ნაშთია 122 484 ლარი.

8. დარიცხული მოთხოვნები

დარიცხული მოთხოვნები არის დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხებიდან მისაღები პროცენტი. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისაღები პროცენტების ნაშთმა შეადგინა 241 737 ლარი (შენიშვნა 17).

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2021, 2022 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022	2021
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	884 955	851 662	818 085
მიღებული ავანსები	9 008	9 008	9 151
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	5 160	5 550	5 550
ვალდებულება დაკავშირებული მხარეებისადმი (შენიშვნა 17)	68 007	16 963	14 800
სულ	967 130	883 183	847 586

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოიცავს დაკავშირებული მხარეების მიმართ სატრანსპორტო მომსახურების ვალდებულებებს (შენიშვნა 17).

10. ამონაგები

საწარმოს ამონაგებში აღიარებული აქვს საქონლის (ცემენტის) რეალიზაციიდან და სატრანსპორტო მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალი. 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს ამონაგებმა შეადგინა 40 868 268 ლარი.

11. თვითღირებულება

საწარმო თვითღირებულებით საქონლის ჩამოწერას აღრიცხავს საშუალო შეწონილი მეთოდის ფორმულით თვითღირებულება მოიცავს საქონლის შეძენის ღირებულებას - 35 666 957 ლარს.

12. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლები 2022 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
საშემოსავლო შედეგები	-	-
საერთო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი	-	26 823
სულ	-	26 823

13. მიწოდების დანახარჯები

საწარმო მომხმარებლებზე საქონლის მიწოდებას ახორციელებს საკუთარი ხარჯებით. 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდში მიწოდების - ტრანსპორტის დაქირავების ხარჯმა შეადგინა - 2 276 418 ლარი.

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	(1 217 572)	(588 665)
სოციალური დანარიცხები	(24 375)	(14 247)
საწვავის ხარჯი	(78 079)	(21 497)
ცვეთა და ამორტიზაცია	(56 057)	(30 661)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(5 082)	(64 853)
საიჯარო ქირა	(21 981)	(60 333)
საკურსო ხარჯი	(29 264)	-
სხვა საერთო ხარჯი	(81 374)	(74 345)
სულ	(1 513 784)	(854 601)

15. წმინდა ფინანსური შემოსავალი

წმინდა ფინანსური შემოსავალი 2022 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2022
საპროცენტო შემოსავალი	23 354	-
საპროცენტო ხარჯი	(50 803)	(28 212)
სულ	(27 449)	(28 212)

საპროცენტო შემოსავალი 23 354 ლარს შეადგენს დაკავშირებულ მხარეზე 2023 წელს გაცემული სესხიდან.

საპროცენტო ხარჯი მოიცავს თიბისი ბანკიდან მიღებულ გარანტიებს. თიბისი ბანკის გარანტია მოქმედია და მისმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა - 50 803 ლარი. საწარმოზე თიბისი ბანკის გარანტია გაცემულია 2017 წლის 23 აგვისტოს.

16. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი 2022 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
გაცემული დივიდენდებიდან	(237 516)	(380 113)
არაკონსოლიდირებული საკმარისობად წარმოქმნილი ხარჯებიდან	(5 544)	(1 483)
წინასწარ დაბეგრილი მოგების შემცირება	-	3 758
სულ	(243 060)	(377 838)

17. საბალანსო ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები შემდეგია:

	2023	
	დაკავშირებული მხარე	ხელმძღვანელობა
მოკლევადიანი მოთხოვნები	197 668	44 359
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	290
მისაღები პროცენტები	197 668	44 069
გრძელვადიანი მოთხოვნები	150 000	-
გაცემული გრძელვადიანი სესხი	150 000	-
მოკლევადიანი ვალდებულებები	68 007	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	68 007	-

მოკლევადიანი მოთხოვნები მოიცავს, გიორგი შანიძესგან 44 069 ლარის შპს „ინვესტმენტ თიმ“-სგან 23 354 ლარს და შპს „ზ.მ.“-ისგან 174 314 ლარის მისაღები პროცენტებს.

ტრანზაქციები, შემოსავალი და ხარჯი ურთერთდაკავშირებულ მხარეებთან 2023 წლის განმავლობაში არის შემდეგი:

	დაკავშირებული მხარეები	ხელმძღვანელობა
შემოსავლები და ხარჯები	(2 220 009)	-
საპროცენტო შემოსავალი	23 354	-
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	202 678	-
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	(2 446 041)	-
ხელფასები და სხვა საკომპენსაციო ანაზღაურებები	-	(1 016 104)
ძირითადი ხელმძღვანელობა	-	(1 016 104)

18. სააგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საწარმომ 2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით გამოაცხადა და გასცა 539 500 ლარის დივიდენდი.

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 18 სექტემბერის.